



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 98

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. გარდაბანი  
18.12.2023

98-06-4-202312181258



**„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“  
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ნოემბრის N92  
განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2023 წლის 15 დეკემბრის N19-19233493 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

### მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ნოემბრის N92 განკარგულებაში და განკარგულების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

### „მუხლი 1

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს (გარდა თანამდებობის პირებისა) აუნაზღაურდეთ საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული მიმდინარე წლის ნოემბრის თვის ხარჯი თანდართული ცხრილის შესაბამისად.“

### მუხლი 2

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

### მუხლი 3

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

